თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 12

ქ. თერჯოლა 03.12.2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. ნინო მახათაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. რამინი რობაქიძე, 2.კობა კირკიტაძე, 3.როლანდი მესხი, 4.ფრიდონ გვენეტაძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 7 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282433465, 29.11.2024 წ.);

   მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282433818, 03.12.2024 წ.).

   მომხს.: თ ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიცვიპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი - მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 20650.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები - 17974.7 ათასი ლარით, გრანტები - 300.0 ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 1975.3 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 400.0 ათასი ლარის ოდენობით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება - 1520.0 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3000.0 ათასი ლარი.

განათლება - 6136.0 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2773.0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -1820.0 ათასი ლარი.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2025 წელში განსაზღვრულია -5175.0 ათასი ლარით.

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1175.0 ათასი ლარი;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია - 4000.0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 100.0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 95.0 ათასი ლარით.
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 20.0 ათასი ლარი.
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 10.0 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 725.0 ათასი ლარით და შეადგენს 34961.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 725.0 ათასი ლარით (ბანკის პროცენტი გაიზარდა 55.0 ათასი ლარით. რენტა გაიზარდა 200.0 ათასი ლარით. დასუფთავების მოსაკრებელი გაიზარდა 100.0 ათასი ლარით. ჯარიმები გაიზარდა 200.0 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივები გაიზარდა 170.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 65.2 ათასი ლარით. მ/შორის:

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა შემცირდა 25.6 ათასი ლარით.

კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 15.9 ათასი ლარით.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია შემცირდა 1,0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 767.5 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება გაიზარდა 70.0 ათასი ლარით.

მერის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 25.0 ათასი ლარით.

წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია გაიზარდა 14.5 ათასი ლარით (ელ ენერგიის ხარჯი).

თერჯოლის დაუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 185.0 ათასი ლარით

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის დაფინანსება გაიზარდა 14.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები დაფინანსება გაიზარდა 332.0 ათასი ლარით.

სკოლისგარეშე განათლების დაფინანსება გაიზარდა 9.0 ათასი ლარით.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება გაიზარდა 3.0 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება გაიზარდა 15.0 ათასი ლარით.

სახელოვნებო სკოლების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი